



სსფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობების დანართი N7 - ინტერნეტ ბანკი

1. ინტერნეტ ბანკის მეშვეობით კლიენტი უფლებამოსილია დისტანციურად, ბანკში მიუსვლელად მისცეს ბანკს დავალება და მოითხოვოს წინამდებარე დანართით განსაზღვრული ოპერაციების შესრულება.
2. იმისათვის რომ, კლიენტმა ისარგებლოს ინტერნეტ ბანკით საჭიროა კლიენტი შევიდეს ინტერნეტ ბანკის ვებ გვერდზე (მხოლოდ ვებ-გვერდიდან <https://ibank.bog.ge>) და გაიაროს ავტორიზაცია მლიერი ავთენტიფიკაციის გამოყენებით;
3. ინტერნეტ ბანკში ავტორიზაციის გარეშე კლიენტს საშუალება აქვს გაიაროს ონლაინ იდენტიფიკაცია.
4. კლიენტს, შესაძლებლობა აქვს ინტერნეტ ბანკით დარეგისტრირდეს ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში ან/და გაიაროს ონლაინ იდენტიფიკაცია ბანკის მიერ დადენილი პროცედურის შესაბამისად.
5. ინტერნეტ ბანკში ავტორიზაციისას მომხმარებლის სახელის ან/და პაროლის სამჯერ არასწორად მითითების შემთხვევაში ინტერნეტ ბანკი დაიბლოკება 30 წუთით.
6. ინტერნეტ ბანკით კლიენტს შეუძლია:
 - 6.1. მიიღოს მის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ოპერაციის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის: ანგარიშ(ებ)ის, კრედიტ(ებ)ის, ანაზრ(ებ)ის (დეპოზიტ(ებ)ის), ფასიანი ქაღალდების, დაგროვების პროგრამების, ვალუტის კურსების შესახებ, ასევე ინფორმაცია მასთან დაკავშირებული არასრულწლოვანი კლიენტის ანაზრის (დეპოზიტის), sCool Card-ის შესახებ;
 - 6.2. ინტერნეტ ბანკით სარგებლობისთვის, გამოყენებული მოწყობილობის ინტერნეტ ბრაუზერი, რომლითაც კლიენტი ავტორიზებულია ინტერნეტ ბანკში გახადოს ავთენტიფიკაციის ელემენტი, რისთვისაც კლიენტმა ბრაუზერს უნდა მიანიჭოს სანდო მოწყობილობის სტატუსი;
 - 6.3. გაუქმოს სანდო მოწყობილობის სტატუსი ინტერნეტ ბანკით სარგებლობისთვის გამოყენებული მოწყობილობის ინტერნეტ ბრაუზერს;
 - 6.4. შეასრულოს გადარიცხვის ოპერაცია მესამე პირებთან ან/და ბიუჯეტში;
 - 6.5. შეასრულოს ვალუტის გაცვლის ოპერაცია საკუთარ ანგარიშ(ებ)ს შორის;
 - 6.6. გახსნას ან/და დაარღვიოს ანაზარი (დეპოზიტი) ანაზრის (დეპოზიტის) პირობების შესაბამისად, მათ შორის ბანკში დადგენილი ლიმიტების გათვალისწინებით;
 - 6.7. გაიექტიუროს ბანკის მიერ შეთავაზებული (მათ შორის წინასწარ დამტკიცებული) კრედიტ(ებ)ი (მათ შორის საკრედიტო ბარათ(ებ)ი, ოვერდრაფტი) ან/და ბანკის მიერ დადგენილი ლიმიტების შესაბამისად ანაზრით (დეპოზიტით) უზრუნველყოფილი კრედიტი, ასევე, შეიტანოს ცვლილებები ან/და დამატებები კრედიტ(ებ)ის ხელშეკრულებაში(ებ)ში, ბანკში დადგენილი ლიმიტ(ებ)ის შესაბამისად;
 - 6.8. მოითხოვოს საკრედიტო ბარათის ლიმიტის გაზრდა;
 - 6.9. გააქტიუროს/გამორთოს/დაარედაქტიროს (ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში) ავტომატური გადახდები, მუდმივი საგადახდო დავალება, SMS ბანკი, ელექტრონული ყულაბა, ბარათის დაცვის მომსახურება;
 - 6.10. გააქტიუროს/დაბლოკოს/განბლოკოს/ Digipass-ი;
 - 6.11. ადადგინოს/შეცვალოს პაროლი/მომხმარებლის სახელი;
 - 6.12. შეუკვეთოს სადებეტო ბარათი, მათ შორის ციფრული ბარათი;
 - 6.13. გამოაჩინოს ციფრული ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები;
 - 6.14. მიიღოს/გააგზავნოს ფულადი გზავნილი;
 - 6.15. შექმნას გადახდებისა და გადარიცხვების შაბლონები;



- 6.16. შეასრულოს უკუკონვერტაციით გადარიცხვის **ოპერაცია** (საკონვერსიო ოპერაციის და **საგადახდო დავალების** ერთდროული ოპერაცია);
- 6.17. გადაიხადოს კომუნალური და სხვა გადასახდელები;
- 6.18. დაბლოკოს/განბლოკოს **ბარათი**, მათ შორის **ციფრული ბარათი**;
- 6.19. დაბეჭდოს **ანგარიშის** რეკვიზიტები, **ამონაწერი**, გადახდის ან გადარიცხვის ქვითარი;
- 6.20. შეცვალოს **ბანკში** დაფიქსირებული საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის **ფინანსური ნომერი**, **ფინანსური ელექტრონული ფოსტა**, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტა;
- 6.21. დაამატოს თანხა ისეთ ანაბარზე (დეპოზიტზე)_რომელი ტიპის ანაბრისთვისაც, **ბანკს** განსაზღვრული აქვს თანხის დამატებით შესაძლებლობა;
- 6.22. ისარგებლოს ონლაინ კონსულტაციის სერვისით, მათ შორის მიიღოს ინფორმაცია/კონსულტაცია ონლაინ რეჟიმში ან/და გამოიყენოს აღნიშნული სერვისის **ბანკის** მიერ განსაზღვრულ **ოპერაციებზე** დასტურის გასაცემად;
- 6.23. ჩატის მეშვეობით, მიმართოს **ბანკს** და მოითხოვოს მისი დაფიქსირება **ბანკის** სხვა კლიენტის (იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს) წარმომადგენლად, ამასთან წარმომადგენლად რეგისტრაცია განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებით უტყუარად დასტურდება მოთხოვნილი წარმომადგენლობა.
- 6.24. მიმღებს მიანიჭოს **სანდო ბენეფიციარის** სტატუსი. ამასთან, **კლიენტი** აცნობიერებს, რომ **სანდო ბენეფიციარის** სტატუსის მინიჭებით ის ადასტურებს, რომ **მიმღების** მიმართ **კლიენტს** გააჩნია ნდობა და **ძლიერი ავთენტიფიკაციის** განხორციელების გარეშე **ოპერაციის** შესრულება არ არის რისკის შემცველი, შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ **ოპერაცია** სრულდება **სანდო ბენეფიციარის** სასარგებლოდ, **ოპერაცია** არ საჭიროების **ძლიერი ავთენტიფიკაციით** დადასტურებას.
- 6.25. გაიაქტიუროს **ანგარიშთა პაკეტი**;
- 6.26. **SOLO ანგარიშთა პაკეტის** გააქტიურებასთან ერთად გაიაქტიუროს **იმეილ ბანკი**;
- 6.27. **ფინანსურ ნომერზე** ახალი **PIN კოდის** გაგზავნის გზით აღადგინოს **PIN კოდი**;
- 6.28. გააუქმოს, ისეთი **ბარათის** (მათ შორის **ციფრული ბარათის**) შეკვეთის **განაცხადი**, რომელიც შეკვეთილია **ინტერნეტ ბანკით/მობილ ბანკით** და ამავდროულად **ბარათი** ჯერ არ დამზადებულა;
- 6.29. გააუქმოს **ბარათი**, რომელიც არ წარმოადგენს **ანგარიშზე** არსებულ უკანასკნელ **ბარათს**.
- 6.30. **დახუროს ბანკის** მიერ განსაზღვრული **ანგარიში** თუ **ანგარიში** არ წარმოადგენს **კლიენტის** ბოლო **ანგარიშს** (ლარში);
- 6.31. გამოიყენოს SWIFT თრეკერი, რომელიც საშუალებას მისცემს **კლიენტს** თვალი ადევნოს SWIFT-ით **ოპერაციის** შესრულების პროცესს;
- 6.32. მიიღოს ინფორმაცია SOLO ბანკირის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- 6.33. გააქტიუროს **ბარათის ადგილზე მიტანის სერვისის** ფარგლებში შეკვეთილი **ბარათი**.
- 6.34. გაიაქტიუროს/დაარედაქტიროს/გამორთოს **ავტომატური გადახდების, მუდმივი საგადახდო დავალების, ელექტრონული ყულაბის მომსახურებები**.
- 6.35. სრულად ან ნაწილობრივ დაფაროს ან/და მოითხოვოს ისეთი **კრედიტის** სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა, რომელი ტიპის **კრედიტის** ამ ფორმით დაფარვაც დაშვებულია **ბანკის** მიერ;
- 6.36. განაცხადოს უარი იმ **საბანკო პროდუქტით/საბანკო მომსახურებით** სარგებლობაზე, რომელზეც უარის თქმის უფლება არსებობს **კანონმდებლობის** ან/და **ბანკსა** და **კლიენტს** შორის გაფორმებული **ხელშეკრულების** საფუძველზე და რომელთან მიმართებაში ამავდროულად **ინტერნეტ ბანკში** ხელმისაწვდომი იქნება გაუქმების დილაკი. **საბანკო პროდუქტზე/საბანკო მომსახურებაზე** უარის დაფიქსირებისას, **საბანკო პროდუქტების/საბანკო მომსახურების** გაუქმება შესაძლებელი იქნება **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესითა და პირობებით.



- 6.37. გაიაქტიუროს/გააუქმოს თავის საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაციის მიღების სერვისი. **კლიენტი ბანკისთვის** შესაბამისი თანხმობის მიცემის საფუძველზე მიიღებს ინფორმაციას თავის საგადასახადო დავალიანების შესახებ, შემდეგ სახაზინო კოდზე - 10100100. აღნიშნული სერვისის გააქტიურება მოხდება **კლიენტს** მიერ მოთხოვნის დაფიქსირებიდან მეორე დღეს. **კლიენტისთვის ინტერნეტ ბანკში** ხელმისაწვდომი იქნება წინა კალენდარული დღის მდგომარეობით, აღიარებული და გადასახდელი საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც **ბანკს** აწვდის სსიპ შემოსავლების სამსახური. იმ შემთხვევაში, თუ სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში **კლიენტს** არ უფიქსირდება საგადასახადო დავალიანება, სერვისის ფარგლებში **კლიენტს** არ გამოუჩნდება საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაცია. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი სსიპ შემოსავლების სამსახურისგან **კლიენტის** საგადასახადო დავალიანების შესახებ მოწოდებული ინფორმაციის სისწორეზე.
7. **ბანკი** უფლებამოსილია:
- 7.1. **კლიენტთან** შეტყობინების გაგზავნის გარეშე, ნებისმიერ დროს შეზღუდოს, შეცვალოს ან/და გააუქმოს **ავტორიზაციის** ან/და **ოპერაციის** შესრულების მეთოდი, მათ შორის **წინამდებარე დანართის მე-6 პუნქტით** განსაზღვრული **ოპერაციების** დადასტურების წესი. ამასთან, **ბანკი** საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს იმ **ოპერაციების** ჩამონათვალს, რომლებიც საჭიროებს **ძლიერ ავთენტიფიკაციით** დადასტურებას;
 - 7.2. ელექტრონული შეტყობინების სახით **კლიენტს ინტერნეტ ბანკში** ტექნიკური საშუალებით გაუგზავნოს სხვადასხვა სახის შეტყობინებები, რომელიც ჩაითვლება **ბანკის** მიერ სრულად და ჯეროვნად განხორციელებულ კომუნიკაციად;
 - 7.3. **ოპერაციების** განხორციელებისას დაუკავშირდეს **კლიენტს** მის **ანგარიშ(ებ)თან** დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. აღნიშნული მიზნებისთვის, **ბანკი კლიენტს** ეკითხება **კლიენტის** შესახებ მხოლოდ **ბანკში** არსებული ინფორმაციიდან, რომელსაც **ბანკი** იყენებს **კლიენტის** იდენტიფიკაციისთვის (მაგ: ინფორმაციას **კლიენტის** მიერ განხორციელებულ **ოპერაციებზე**). როდესაც **ბანკი** დაუკავშირდება **კლიენტს**, იგი არასოდეს დაუსვამს **კლიენტს** კითხვას ან/და მოსთხოვს მას ინფორმაციას **უნივერსალური იდენტიფიკატორების** შესახებ.
8. **ვებ-გვერდის** მისამართი, რომლითაც **კლიენტი** უკავშირდება **ინტერნეტ ბანკს** შეიძლება შეიცვალოს.
9. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტისათვის** წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე შეწყვიტოს **ინტერნეტ ბანკით მომსახურება**, თუ:
- 9.1. **კლიენტს** აღარ აქვს **ბანკში** გახსნილი არცერთი ტიპის **ანგარიში** ან;
 - 9.2. მინიმუმ უკანასკნელი 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ არის გადახდილი/დაფარული **ინტერნეტ ბანკის საკომისიო**.
10. თუ **კლიენტი** არასრულწლოვანია იგი **ბანკში** წარმოდგენილია კანონიერი წარმომადგენლის მიერ (შემდგომში - **კლიენტის წარმომადგენელი**), **კლიენტის წარმომადგენელი**, როგორც **კლიენტის** კანონიერი წარმომადგენელი:
- 10.1. წინასწარ აცხადებს თანხმობას **ინტერნეტ ბანკის** საშუალებით **კლიენტის** მიერ განხორციელებულ/განსახორციელებელ ნებისმიერ **ოპერაციაზე**;
 - 10.2. ადასტურებს, რომ **კლიენტის** მიერ **ინტერნეტ ბანკის** საშუალებით განხორციელებული ნებისმიერი **ოპერაცია** სრულდება მისი, როგორც **კლიენტის** კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით და სრულად არის პასუხისმგებელი თითოეულ/ყველა **ოპერაციაზე**;
 - 10.3. წინასწარ აცხადებს თანხმობას **საკომისიოს**, **პირგასამტეხლოს** და სხვა გადასახდელების გადახდის თაობაზე, რომელიც შეიძლება დაეკისროს **კლიენტს**, მის მიერ ნებისმიერი **საბანკო პროდუქტის/საბანკო მომსახურების** სარგებლობასთან/გამოყენებასთან დაკავშირებით;
 - 10.4. ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია, რომ **ბანკი**, უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, შეტყობინების



გაგზავნის გარეშე, შეზღუდოს ან/და შეცვალოს ინტერნეტ ბანკის საშუალებით კლიენტისთვის ნებადართული ოპერაციების ჩამონათვალი ან/და დააწესოს ოპერაციების ლიმიტები.